სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/332

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2019

პროფესორ რაფიელ ჩიქოვანის სახელობის ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფ. ა. გიგინეიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 ნოემბრის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფ. ა. გიგინეიშვილის წინადადება და აღნიშნულ დეპარტამენტში შეიქმნას პროფ. რაფიელ ჩიქოვანის სახელობის ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრი;
2. დაევალოს პროფ. ა. გიგინეიშვილს მოამზადოს ცენტრის დებულება და განსახილველად წარმოადგინოს სტუ-ის აკადემიურ საბჭოში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**